ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3051812

ნომერი: AR1457806

თარიღი : 25.11.2016

გაცემის თარიღი : 20.01.2017

გაცნობის თარიღი : 20.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი I , ქუჩა სუხიშვილი / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი I , ქუჩა სუხიშვილი , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერი გელაშვილი პ/ნ 13001008490
- საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ლილოს დას., IV კვ., კორპ. 2, ბინა 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2015 წ. № 1960094 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25.11.2016 წ. №AR1457806 განცხადებით მომართა მოქალაქე ვლადიმერ გელაშვილმა და მოითხოვა 26.06.2015 წ. №1960094 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილების გამო.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2015 წ.

№1960094 ბრძანებით მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით – #01.19.39.029.031, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური კომპლექსის(საცხოვრებელი, კომერციული) ახალი მშენებლობის განხორციელების მიზნით. სამსახურის 06.07.2016 წლის №2694398 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882016237062), ასევე შევიდა ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა-1087 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდა - №01.19.39.029.104 და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა განახლებული დანართი .
დღევანდელი მდგომარეობით მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის, საკადასტრო კოდისა და ფართობის ცვლილება. წარმოდგენილი განაცხადით განმცხადებელი ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილების გამო.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2015 წ. №1960094 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-1384 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-№01.19.39.029.109;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2015 წ. № 1960094 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი №01.19.39.029.109 ფართობი 1384 კვ.მ, საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882016793254, რეგისტრაციის თარიღი 17.11.2016 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაცია: №882016793254, მომზადების თარიღი 17.11.2016 17:17:08);
3. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2015 წ. № 1960094 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს მხოლოდ საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.06.2015 წ. №1960094 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.